სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
08.01.2016 N 1
თბილისი

სტუ-ს წარმოამადგენლობითი საბჭოს მორიგი
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 6 იანვარს #1885 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2016 წლის 28 იანვარს.
2. არჩევნები ჩატარდეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:
   - სამშენებლო ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტი - 5 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 6 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
   - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის.
3. სენატში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს

- ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2015 წლის 21 იანვრისა, წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2016 წლის 15 იანვარს და დასრულდეს 2016 წლის 21 იანვარს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა 2016 წლის 15 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიის შექმნა (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში) და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების დღეს თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი: *ბ.მაისურაძე*